

მე-11-12 კლასი

მიმდევრობები

ართომეტიკულ პროგრესიაში მეშვიდე წევრი 7-ის ტოლია. მეცხრე წევრი კი 9-ის. რას უდრის მეხუთე წევრი?

A. 6-ს

B. 5-ს

C. 3-ს

1. მიმდევრობის ყოველი წევრი, მესამედან დაწყებული, წინა ორი წევრის ჯამის ტოლია. ცნობილია, რომ მეხუთე წევრი მეოთხეზე 6-ით მეტია. რას უდრის პირველი ორი წევრის ჯამი?

A. 6

B. 13

C. 19

ალგებრა

2. რა ციფრით ბოლოვდება 1-დან 2017-მდე ყველა კენტი რიცხვის ნამრავლი?

A. 0-ით

B. 5-ით

C. 9-ით

3. $(a - 1)^3 = 8$ რას უდრის $(a + 1)^2$?

A. 0

B. 4

C. 16

გეომეტრია

რისი ტოლი არ შეიძლება იყოს პირამიდის წვეროების, წიბოებისა და წახნაგების რაოდენობათა ჯამი?

A. 62

B. 58

C. 44

4. თუ სამკუთხედში რომელიმე ორი კუთხის სხვაობა მესამე კუთხის ტოლია, მაშინ ეს სამკუთხედი აუცილებლად არის?

A. ბლაგვკუთხა

B. მართკუთხა

C. მახვილკუთხა

კომბინატორიკა

5. რამდენი განსხვავებული გზით შეიძლება დავაყენოთ ხუთი ადამიანი მწკრივში?

A. 120

B. 96

C. 24

6. იპოვეთ იმ სამნიშნა რიცხვების რაოდენობა, რომელთა ათეულების ციფრი ლუწია

A. 500

B. 450

C. 300

ლოგიკური ამოცანები

დაფაზე დახაზულია 6-კუთხედი. ნება გემღევათ გაატაროთ 6 წრფე, რომლითაც მოცემული ექვსკუთხედი დაიჭრება ნაწილებად. წაშალოთ ერთი ნაწილის გარდა ყველა. დარჩენილ ფიგურას მაქსიმუმ რამდენი წვერო შეიძლება ჰქონდეს?

A. 8

B. 12

C. 18

1. მოსწავლე გოგონებიდან ყოველი მეორე კინგსის ოლიმპიადაში მონაწილეობს. კინგსის მონაწილეებიდან ყოველი მესამე მონაწილე გოგოა. რომელია მეტი: მოსწავლე გოგონების რაოდენობა თუ კინგსის მონაწილეთა რაოდენობა?

A. გოგონების

B. კინგსის მონაწილეთა

C. თანაბარია